სახელი: ქეთი

გვარი: ზარანდია

ასაკი - 15 წლის

სკოლის დასახელება: სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლა

კლასი: მე- 10

წერილი ევროპელ თანატოლს-დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

გამარჯობა, ჩემო ევროპელო მეგობარო!

მე ვარ ქეთი, შენი თანატოლი საქართველოდან და მსურს გესაუბრო ჩემ პატარა, მაგრამ ძლიერ სამშობლოზე. ჩემი საქართველო ოდითგანვე იბრძოდა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. იყო უამრავი მარცხი, მაგრამ 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა მაშინდელი მთავრობის მეთაურის ნოე ჟორდანიას წყალობით მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა ეს იყო უდიდესი მონაპოვარი ერისა. შ. რუსთაველის სიტყვებისა არ იყოს: „მაგრამ ხანგრძლივი ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?!“ დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული სიხარული, 1921 წლის სისხლიანმა თებერვალმა შეცვალა. სისხლით შეიღება კოჯორ-ტაბახმელა. საბჭოთა იმპერიამ გადაწყვიტა რუსიფიკატორული რეჟიმის აღზევება ჩემს პატარა ქვეყანაში და მოსთხოვა ქართველ ხალხს საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად რუსული ენის ჩაწერა. რაც მოწინავე საღად მოაზროვნე ქართველმა ხალხმა სასტიკად დაგმო და მშვიდობიანი პროტესტით 1978 წლის 14 აპრილს აიძულა რუსული რეჟიმი კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად დარჩენილიყო მხოლოდ ქართული. ეს ფაქტი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი შემართებით იბრძოდა და იბრძვის დღესაც ქართველი ერი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ჩვენს გულებს მწარედ ახსოვს 1989 წლის 9 აპრილი. ტრაგედია, სადაც დაიღუპა 21 მშვიდობიანი და დაშავდა 427 თავისუფლებისათვის გულანთებული ქართველი. საბედნიეროდ, მოვიპოვეთ დაკარგული დამოუკიდებლობა და სამუდამოდ გავთავისუფლდით იმპერიის მარწუხებისგან.

ფასდაუდებელია ჩვენი წინაპრების ამაგი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მე მეამაყება, რადგან ვარ „ქართველი და მაშასადამე ევროპელი“, რომლისთვისაც ღირებული და ძვირფასია ქვეყნისა და ერის დამოუკიდებლობა.

ჩემო უცნობო, ევროპელო მეგობარო, მე იმ კოპწია საქართველოს შვილი ვარ, რომელმაც პირველმა 8000 წლის წინ იცოდა მთელს ევროპაში ვაზის კულტურა, უნიკალური ქართული ღვინის წარმოება.

მეამაყება, რომ ჩემს ქართულ სალიტერატურო ენას იუნესკოს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

მე ვარ პირველი ევროპელების: „ზეზვასა და მზიას“ შთამომავალი. ჩემთვის ღირებულია ყველაფერი ქართული, რომელიც მჭიდრო კავშირშია ევროპულთან და ამის ნათელი მაგალითია ყოველივე ზემოაღნიშნული ისტორიული ფაქტი.

ვფიქრობ, მკაფიოდ ჩამოვაყალიბე სათქმელი ჩემი პატარა, მაგრამ უდიდესი წარსულის მქონე სამშობლოს შესახებ.

მსურს, ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი და დაგპატიჟო ჩემს ქვეყანაში, რათა უფრო ახლოს გაგაცნო ჩვენი კულტურა და ადათ-წესები.

გემშვიდობები კეთილი სურვილებით და მალე შეხვედრის იმედით.

ნახვამდის! ქ.ზარანდია 16.05.2025 წ.

Name: keti

Last name: zarandia

Age: 15

LEPL GIORGI CHKONDIDELI POTI PUBLIC SCHOOL N7

Grade: X

letter to an euvropean friend_ from independence to freedom

Hello, my European friend!

I am Keti, your peer from Georgia, and I would like to talk to you about my small but strong homeland. My Georgia has been fighting for independence for a long time. It was a crushing defeat, but on May 26, 1918, the Georgian people, thanks to the then head of government, Noe Zhordania, gained their long-awaited independence. This was the greatest achievement of the nation. Sh. Rustaveli The words were: "But will this village make anyone happy for long?" The joy of gaining independence was replaced by February 16, 1921. Kojor-Tabakhame was stained with blood. The Soviet Empire decided to establish a Russified regime, In my small country and demanded that the Georgian people include Russian as the state language in the Georgian Constitution, and completely forget the Georgian language. The sensible Georgian nation immediately, fiercely condemned it and, with a peaceful protest on April 14, 1978, forced the Russian regime to The constitution should have only Georgian as the state language. This fact is another indication of how the Georgian nation fought, and still fights, for independence and freedom. Our great hearts bitterly remember April 9, 1989. A tragedy in which 21 Georgians who were peacefully fighting for freedom were killed and 427 were injured. But fortunately, we gained independence and were liberated forever. The sacrifice of our ancestors in the fight for Georgia's freedom is invaluable. I am truly proud that such I am growing up in the country, and I am developing as a person. I think I have clearly formulated the great story of my little Georgia, where we have been standing for a long time. I want to know each other better and invite you to my country. Let's introduce you to our culture and customs. I bid you farewell with good wishes and hope to meet you soon.

Goodbye! K. Zarandia 16.05.2025